

განვითარებული ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალი იშვიათად იყოფა საშინაო და საგარეო ვალად. ამ ქვეყნებში ფინანსური ბაზრების გახსნილობა და განვითარებულობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისადმი (რაც ვალის აღების პრაქტიკულად ერთადერთი ფორმაა) როგორც ქვეყნის რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირების ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ მიღწევადობას უზრუნველყოფს და ამიტომაც რთულია იმ ზღვრის გავლება, რომელიც კრედიტორებს რეზიდენტობის მიხედვით დაყოფს.

სამწუხაროდ საქართველო ამგვარი ქვეყნების რიცხვში არ ხვდება. გარდა ამისა, თუ განვითარებული ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალი ბიუჯეტების დეფიციტის ჯამია, საქართველოსათვის სახელმწიფო ვალის წარმოშობა განსხვავებულია. საქართველოში სახელმწიფო ვალი წარმოქმნილია როგორც ბიუჯეტების დეფიციტების დასაფინანსებლად, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ტვირთების ღირებულების ანაზღაურებისათვის (მაგალითად, სომხური ვალის ნაწილი), ან მოხმარებული ბუნებრივი აირის (თურქმენული ვალი) გადაუხდელი საფასურისგან, აგრეთვე ე.წ. სასაქონლო კრედიტის მიღებისაგან (მაგალითად, ჩინური ან თურქული კრედიტი).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს საგარეო ვალის თვალსაზრისით სუფთა ფურცლიდან არ მოუწია ცხოვრების დაწყება (განსაკუთრებით რთული იყო შიდა ვალის პრობლემა, რომელიც ე.წ. სახელმწიფო შემნახველი ბანკის მეანაბრებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობისაგან ერგო მემკვიდრეობით საქართველოს). **2001** წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა ე.წ. „ნულოვანი ვარიანტი“, ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რომლის თანახმადაც საქართველომ უარი თქვა როგორც სსრკ აქტივებზე, ასევე მის ვალდებულებებზე. თუმცა ამ დროისათვის საქართველოს უკვე დიდი საკუთარი სახელმწიფო საგარეო ვალი ჰქონდა.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალს, დღეს რაიმე მიახლოებითი ციფრიც კი, რომელიც მის სიდიდეს დაადგენს, არ არსებობს. ყოფილი სსრკ შემნახველი ბანკის მეანაბრეთა ანაბრები **1997** წელს გადაანგარიშდა ძალიან საინტერესო კურსით (პირველი ათასი მანეთი **10** ლარზე, ხოლო ყოველ დანარჩენ ათას მანეთზე **20** თეთრი). ამის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი **2010** წლის ბოლოსათვის შეადგენდა **1,8** მლრდ. ლარს, საიდანაც დაახლოებით **600** მლნ. ლარი მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებით (ძირითადად სახაზინო ვალდებულებებით) იყო მობილიზებული, **560** მლნ. ლარი გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდებით, ხოლო **670** მლნ. ლარზე მეტი სხვა კრედიტორული დავალიანებაა.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალს, მისი მოცულობა **1996** წლიდან მკვეთრად იზრდება.

ცხრილი 1. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
ვალის მოცულობა	1 150	1 348	1 486	1 627	1 636	1 556	1 521	1 659	1 754

წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ვალის მოცულობა	1 858	1 735	1 698	1 790	2 692	3 382	3 937	4 176

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (2004 წლამდე), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა. **თუ 1996 წელს იგი მშპ-ს 44% იყო, 2010 წლის ბოლოს მისი მოცულობა მშპ-ს დაახლოებით 1/3 იყო?(პროცენტულად რომ ვაჩვენოთ).** თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მძიმეა ექსპორტთან ვალის თანაფარდობა. გასულ წელს საქართველოდან მხოლოდ 1,6 მლრდ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც საგარეო ვალის მხოლოდ 40%-ია.

განსაკუთრებით სავალალოა საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია 2008–2009 წლებში, რასაც აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური საფუძველი.

2008 წლის ომის შემდეგ, 22 ოქტომბერს ბრიუსელში შედგა დონორთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე საქართველოსათვის დახმარების სახით 4,5 მლრდ. აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ, საიდანაც 2 მლრდ დოლარი გრანტი, ხოლო 2,5 მლრდ დოლარი კრედიტი უნდა ყოფილიყო.

ამ თანხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსათვის, რომელმაც შედარებით რბილად გადაიტანა როგორც ომის, ისე განსაკუთრებით გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა, თუმცა იმავე 2008 წელს, ლონდონის ბირჟაზე 5 წლიანი ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით, საქართველომ აიღო ყოვლად გაუმართლებელი 500 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ვალი.

ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ცივილური ინსტრუმენტი გამოიყენა, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის აპრილის ბოლოს, ანუ როდესაც ეს ვალი იქნა აღებული საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტური არ იყო, ბიუჯეტში შემოსავლები იყო, მხოლოდ 2008 წლის პირველ 6 თვეში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,5 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბეს, ქვეყანაში ეკონომიკური ზუმი იყო. ამ ფონზე ქვეყანა იღებს ნახევარი მილიარდი დოლარის საგარეო ვალს საკმაოდ მაღალი 7,5% (კუპონის) სარგებლით. ობლიგაციების გადახდის ვადა 2013 წლის 15 აპრილი უნდა ყოფილიყო.

ცნობისათვის, იმავე პერიოდში მსოფლიო ბაზრებზე აშშ სახაზინო ობლიგაციების სარგებელი **2,75%** იყო, ანუ რისკიანობის გამო ქართული ობლიგაცია თითქმის **3-ჯერ** მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდა კრედიტორებს.

სამწუხაროდ, აღებული კრედიტის გამოყენების ნათელი გეგმა როგორც ჩანს, არ არსებობდა. იმდროინდელმა პრემიერ მინისტრმა, ლადო გურგენიძემ განაცხადა, რომ ამ ნაბიჯით საქართველოს კრედიტუნარიანობის რეიტინგი უნდა გარკვეულიყო. ამავე დროს, კრედიტის აღების შემდეგ გაცხადდა, რომ კრედიტი გამოყენებული იქნებოდა გაზსაცავის მშენებლობაზე (ან მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობაზე) და მომავლისა და განვითარების ფონდებში. სამწუხაროდ აგვისტოს ომმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა შემოდგომაზე ბიუჯეტის შევსების სერიოზული პრობლემა შექმნა და როგორც ჩანს ეს თანხები საბიუჯეტო მოთხოვნებისათვის დაიხარჯა.

მას შემდეგ საკმაოდ მუქ ფერებში ისახებოდა **2013** წელი, ამ დროს ბიუჯეტიდან მხოლოდ სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებაზე დაახლოებით **900** მლნ. აშშ დოლარი უნდა გამოყოფილიყო, რაც ბიუჯეტს გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ **2012** წელი საპარლამენტო არჩევნების, ხოლო **2013** წელი საპრეზიდენტო არჩევნების წინა წელია, რაც ბიუჯეტში სოციალური და პოპულისტური ხარჯების გაწევის რისკს ზრდიდა, ცხადი იყო, რომ **20103** წელს აღნიშნული მოცულობით საგარეო ვალს საქართველო ვერ გადაიხდიდა.

2011 წლის აპრილში მოულოდნელად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და საქართველოს მთავრობამ **500** მლნ. აშშ დოლარის მოცულობის **10** წლიანი ობლიგაციების ემისია განახორციელა ევროპის ბაზრებზე, საპროცენტო განაკვეთი **6.9%**-ის დონეზე დაფიქსირდა. მთავრობამ გადაფარა **2008** წლის ევროობლიგაციები **417** მლნ აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო საგარეო ვალი **83** მლნ დოლარით გაიზარდა.

დღეისათვის (**2011** წლის **31** მაისის მდგომარეობით), საქართველოს საგარეო ვალი **4,176** მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც **3** მლრდ დოლარი მრავალმხრივ კრედიტორებზე მოდის, მ.შ. მსოფლიო ბანკზე **1,43** მლრდ დოლარი, საერთაშორისო სავალუტო ფონდზე **1,08** მლრდ დოლარი.

საქართველოს ორმხრივი კრედიტორების **606** მლნ აშშ დოლარი მართებს, მათ შორის ყველაზე დიდი კრედიტორი გერმანიაა (**251** მლნ დოლარი), მეორე ადგილზე კრედიტორებს შორის კი რუსეთია **115** მლნ. დოლარით.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალზე საუბარი აქ შეიძლება დასრულებულიყო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, შპს საქართველოს რკინიგზას მნიშვნელოვანი ვალეები აქვს, მ.შ. **250** მლნ აშშ დოლარის მოცულობის ევროობლიგაციები, რომლებიც **2010** წლის **22** ივლისს იქნა ემიტირებული და სარგებელმა **9,875%** (კუპონზე) შეადგინა, ამის გარდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობისათვის **2007** წელს ახერბაიჯანმა **200** მლნ დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო ქართულ მხარეს, **2010** წლის იანვარში დამატებით **100** მლნ დოლარის, ხოლო **2011** წლის მაისში კიდევ **575** მლნ დოლარის გამოყოფაზე შეთანხმდნენ.

სამწუხაროდ, საქართველოს რკინიგზის შემოსავლები აღნიშნული სესხის დაფარვას მოკლე ვადებში ვერ უზრუნველყოფს. ამდენად ან სახელმწიფოს მოუწევს რკინიგზისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, ან ... (ცნობისათვის, **2011** წლის ბიუჯეტიდან საქართველოს რკინიგზას **20** მლნ ლარი გამოეყო კაპიტალიზაციისათვის).

საბოლოო ჯამში საქართველო სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას, მიუხედავად თვითშეზღუდვისა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება და რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალმა მშპ–ს **60%**–ს არ უნდა გადააჭარბოს, ბოლო წლებში ვალის ზრდის ტემპი მშპ–ს ზრდის ტემპს აჭარბებს, რამაც ხელისუფლება „ქამრების შემოჭერის“ და ვალების თუნდაც გაყინვის გადაწყვეტილებამდე უნდა მიიყვანოს.